



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Project funded by the European Union



KFW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N22  
მაისი, 2022

### არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები ეკოკლუბებში

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს აჭარის სოფლების მაცხოვრებლების ინფორმირებულობა სანდო წყალმომარაგების, უსაფრთხო ჩამდინარე წყლების, ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და დაცული გარემოს მნიშვნელობის შესახებ. აქცენტი მოზარდებისთვის არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებზე კეთდება, რადგან ახალგაზრდა თაობა წარმოადგენს მომავალს. ამასთანავე, ბავშვები ინფორმაციის მნიშვნელოვანი გამავრცელებლები არიან.

სოფლებში საგანმანათლებლო აქტივობების კონცეფციის განსახორციელებლად, „აჭარის წყლის ალიანსმა“ (AWA) ეკოკლუბები დააარსა (გარემოსდაცვითი ახალგაზრდული ორგანიზაციები, იუნესკოს სტრუქტურის, ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად).

ეკოკლუბები მოზარდებში უზრუნველყოფენ მართებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას რეაბილიტირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სათანადო გამოყენებისა და პროგრამის მნიშვნელობის მიმართულებით.

ეკოკლუბებისთვის დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში, პირველი შეხვედრა ხულოს სოფელ ძმაგულაში გაიმართა და გაგრძელდება აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში პროგრამაში ჩართული სოფლების სკოლებით.

„აჭარის წყლის ალიანსის“ სასწავლო აქტივობები ეძღვნება სასაშუალო წყლის მოპოვების, დამუშავებისა და დანიშნულების ადგილამდე მიწოდების საკითხებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში წყლის ხარისხის კვლევის მიმდინარე პროცესების შესწავლის მიზნით, მოსწავლეები ეცნობიან წყლის ხარისხის შეფასებას სწრაფი ტესტების გამოყენებით, რათა ჩაატარონ ანალიზები სოფელში წყლის ხარისხის დასადგენად. აღნიშნული გამოცდილება მოსწავლეებისთვის იქნება მომავალში ახალი წყალმომარაგების სისტემების სათანადო მართვის საფუძველი.

შეგროვებული ინფორმაცია წყლის ხარისხის შესახებ, აიტვირთება „აჭარის წყლის ალიანსის“ ვებგვერდზე დაფუძნებული წყლის მონიტორინგის სისტემაში. სისტემა შექმნილია წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის, აჭარის მასშტაბით წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეფასების საფუძველზე.



### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

MACS  
Energy & Water

FICHTNER

GITEC  
CONSULT GMBH

IRC  
Supporting water sanitation  
and hygiene services for life

BLACK SEA ECONOMIC  
ACADEMY

IGIP

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge





ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Project funded by the European Union



KfW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N22

MAY, 2022

### NON-FORMAL EDUCATIONAL ACTIVITIES AT ECO CLUBS


One of the objectives of the Rural Water Supply and Wastewater Treatment Program in Ajara is to raise awareness in all inhabitants of Rural Ajara, about the importance of reliable water supply and safe wastewater, hygiene, proper health and a protected environment in Ajara. Emphasis is laid on non-formal educational activities for children and teenagers – as the young generation is the future and young people are important multipliers of information.

The Ajara Water Alliance (AWA) has established eco-clubs (Environmental Youth Organizations, following a UNESCO structure, objectives and principles) to implement the concept of educational activities in the villages. eco-clubs ensure the right attitude of teenagers to the proper use of the rehabilitated water supply and sanitation systems and the significance of the program.

As part of the educational activities planned for eco-clubs, the first meeting was held in the village of Dzmagula in Khulo and will continue with other schools participating in the program in all municipalities of Ajara.

The AWA training activities are devoted to the issues of extraction, treatment and supply of drinking water to its intended destination in accordance with international quality standards. In order to familiarize themselves with the current processes of water quality research within the framework of the program, the students are introduced to water quality assessment by using quick tests to perform analyzes to determine the quality of water in the village. This experience will be the basis for proper management of the new water supply systems for students in the future.

The collected information on water quality will be uploaded to the web-based AWA Wwater Monitoring System. The system is established for the monitoring of water quality, based on the assessment of quantitative and qualitative data on water resources throughout Ajara.



### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union. The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance". The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent. The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



IRC  
Supporting water sanitation  
and hygiene services for life



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge